ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გაზეთი გამოდის 2015 წლის ოქტომბრიდან

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა • ნოემბერი/2025 N11 / 116

დავით სონღულაშვილი, საქართველოს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა — გვ. 2

ნინო თანდილაშვილმა კლიმატის მწვანე ფონდის მმართველი საბჭოს 43-ე სხდომაში მიიღო მონაწილეობა — გვ. 3

- **დავით სონღულაშვილი: „ქართული ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია პროდუქციის მაღალი ხარისხი, რისთვისაც ფერმერებს მხარში უდგას სახელმწიფო არაერთი მიზნობრივი დახმარებით“**
- **რაჭის ეროვნული პარკის ფართობი 4 759 ჰექტრით გაიზრდება**

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2026 წლის პირველი იანვრიდან, სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების რეალიზაცია იკრძალება — გვ. 4

ქართველ ფერმერებს აგროკონსულტაციებს უცხოელი ექსპერტები გაუწევენ

კახეთში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ზეთისხილის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა

არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციით, ფერმერებმა 8.8 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს — გვ. 5

ესპანეთის სამეფოში, ქ. მადრიდში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე FRUIT ATTRACTION 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი პირველად მოეწყო

ქართული ღვინის პოპულარიზაცია — გვ. 6-9

ქართული ხორბალი — გვ. 10

საქართველოს მელიორაცია — გვ. 11

ყველაზე გამორჩეული 5 ბილიკი, რომელიც შემოდგომით უნდა დალაშქრო — გვ. 12

საქართველოს ტბების კონსერვაცია ადგილობრივი ეკონომიკის სასიკეთოდ — გვ. 13

ცანა 3-ის ტერიტორიაზე დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა — გვ. 14

2025 წელს შავი ზღვის დაცვის კონვენციურმა სამმართველომ 200-ზე მეტი გემი შეამოწმა — გვ. 15

საქართველოს ბიომრავალფეროვნება — გვ. 16

კოჭობა • მიწის კურდღლისებრნი • ყორანი ბოლოცეცხლა • ჭინჭრაქა

დავით სონღულაშვილი, საქართველოს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, დავით სონღულაშვილმა, ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მემორანდუმებს მოაწერა ხელი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს სამთავრობო დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ხელმძღვანელობდა.

ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა ორ მემორანდუმს - „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკოლოგიისა და გარემოს სამინისტროს შორის გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტროს შორის სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე“.

აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში კიდევ უფრო გაღრმავდება თანამშრომლობა საქართველოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის მიმართულებებით.

„ვიზიტის ფარგლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორი ქვეყნის პრემიერებს შორის შეხვედრა. ზუსტად ამ შეხვედრამ უზრუნველყო შესაძლებლობა, გაფორმებულიყო მემორანდუმები როგორც გარემოს დაცვის, ისე სოფლის მეურნეობის მიმართულებებით“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, გარემოსდაცვითი კუთხით თანამშრომლობა გაღრმავდება ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, ეკოტურისტული, დაცული ტერიტორიების და მართვის შესაძლებლობების გაზიარების საკითხებზე.

„რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მიმართულებას, მინდა აღვნიშნო, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცდილების გაზიარება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ აგროწარმოების პროდუქტიულობა“, - აღნიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

დავით სონღულაშვილმა იმ ხელშეკრულების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება, რომელიც ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა და ჩინეთში ქათმის ხორცის ექსპორტის შესაძლებლობას ქმნის. ჩინეთის უდიდეს ბაზარზე საქართველოდან კიდევ ერთი პროდუქტის ექსპორტი გააძლიერებს აგროსექტორს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში აისახება.







დავით სონღულაშვილი: „ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის გამოფენაში მონაწილეობა დამატებითი შესაძლებლობაა, ქართული პროდუქცია კიდევ უფრო მეტად ცნობადი გახდეს ჩინეთის უმსხვილეს ბაზარზე“

მინისტრი დავით სონღულაშვილი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ჩინეთის საერთაშორისო იმპორტის გამოფენის გახსნის ცერემონიას დაესწრო.

„ჩინეთში, საერთაშორისო იმპორტის გამოფენაზე საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით არის წარმოდგენილი. ჩინეთის ბაზარს ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. უმსხვილეს გამოფენაში მონაწილეობა შესაძლებლობაა იმისთვის, რომ ჩინეთის ბაზარზე კიდევ უფრო მეტი წვდომა გაგვიჩნდეს. წელს გამოფენაზე წარმოდგენილია 40-ზე მეტი ქართული კომპანია. გამოფენის გახსნამდე, საქართველოს და ჩინეთს შორის გაფორმდა არაერთი მემორანდუმი და ხელშეკრულება. ერთობლიობაში, იქმნება ყველა პირობა, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად, იქმნება შესაძლებლობები, ქართული კომპანიები და პროდუქცია მეტად ცნობადი გახდეს ჩინეთის ბაზარზე, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს საქართველოდან ექსპორტის ზრდას და ეკონომიკის განვითარებას“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, დავით სონღულაშვილმა ხელი მოაწერა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მემორანდუმებს, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მიმართულებებს მოიცავს.

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ხელმძღვანელობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, პრემიერის ლი ციანის მიწვევით იმყოფებოდა.

ნინო თანდილაშვილმა კლიმატის მწვანე ფონდის მმართველი საბჭოს 43-ე სხდომაში მიიღო მონაწილეობა

კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მმართველი საბჭოს 43-ე სხდომა კორეის რესპუბლიკაში, ქალაქ სონგდოში გაიმართა. სხდომაში მონაწილეობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა მიიღო, რომელიც, მეორე ვადით, ფონდის მმართველი საბჭოს წევრია.

სხდომის ფარგლებში დამტკიცდა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებების მხარდაჭერას.

აღსანიშნავია, რომ ასევე დამტკიცდა აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ წარდგენილი რეგიონული პროექტიც, რომლის ბენეფიციარიც, რეგიონის სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც იქნება.

პროექტის დაფინანსება, კლიმატის მწვანე ფონდის მხრიდან, 250 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტის მიზანია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემცირება, მათ შორის, მყინვარების დნობის გავლენის შეფასება და წყლის რესურსების მდგრადი მართვა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის სექტორზე ზემოქმედების შემცირებას.

პროექტი ითვალისწინებს კლიმატგონივრული პრაქტიკების დანერგვას ირიგაციისა და დრენაჟის სისტემებში. საქართველოსთვის დასაფინანსებელი კონკრეტული აქტივობები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აზიის განვითარების ბანკს შორის თანამშრომლობის ფარგლებში განისაზღვრება.

„თანამედროვე საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მჭიდრო თანამშრომლობა როგორც აზიის განვითარების ბანკთან, ასევე კლიმატის მწვანე ფონდთან”, - აღნიშნა ნინო თანდილაშვილმა.

გარდა ამისა, მინისტრის პირველმა მოადგილემ მონაწილეობა მიიღო კლიმატის მწვანე ფონდის ეთიკისა და აუდიტის, ასევე, საქმიანობის ზედამხედველობის კომიტეტების სხდომებში, როგორც ამ კომიტეტების მუდმივმა წევრმა.

კლიმატის მწვანე ფონდი (Green Climate Fund, GCF) წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსურ მექანიზმს, რომელიც 2010 წელს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში შეიქმნა. ფონდის წევრი კონვენციის 197 მხარეა; მისი მიზანია განვითარებად ქვეყნებში კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის ღონისძიებების მხარდაჭერა.

დავით სონღულაშვილი: „ქართული ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია პროდუქციის მაღალი ხარისხი, რისთვისაც ფერმერებს მხარში უდგას სახელმწიფო არაერთი მიზნობრივი დახმარებით“

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილთან და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის მინისტრ დენის სალუქვაძესთან ერთად, ქ. ქობულეთში ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი გახსნა.

„სრულ კოორდინაციაში ვართ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. „ნარინჯისფერი რთველის“ ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საგანგებო შტაბიც ფუნქციონირებს“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ციტრუსის რეალიზაციის ხელშეწყობისთვის, მნიშვნელოვანია პროდუქციის მაღალი ხარისხი, რისთვისაც ფერმერებს მხარში უდგას სახელმწიფო არაერთი მიზნობრივი დახმარებით.

„ნარინჯისფერი რთველით“ დასრულდება მიმდინარე წლის მოსავლის დაბინავება. წელს უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა ყურძნის მოსავლის აღება. გვქონდა ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე ჭარბი - 340 ათას ტონამდე მოსავალი, რომელიც სრულად დაბინავდა. ამავდროულად, უზრუნველყოფილია, რომ ღვინის ხარისხი გვექნება მაღალი. დაბინავებულია ვაშლის მოსავალიც; არასტანდარტული ვაშლი სრულად ჩაიბარა წარმოებამ. სახელმწიფომ გამოყო ფინანსური რესურსი, რამაც უზრუნველყო, რომ ყველა ფერმერმა შეძლო გაწეული შრომის შესაბამისი ანაზღაურების მიღება. ანალოგიური მოლოდინი გვაქვს ციტრუსთან დაკავშირებით. მოსავალი სრულად დაბინავდება. ჩვენთვის პრიორიტეტია, ერთი მხრივ, ხელი შევუწყოთ მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, ხოლო, მეორე მხრივ, ყველა ფერმერმა მიღებული მოსავლის რეალიზაცია შეძლოს და შესაბამისი შემოსავალი მიიღოს“, - განაცხადა დავით სონღულაშვილმა.

აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდიაა გათვალისწინებული. მაღალი ხარისხის ციტრუსის მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოა, რომელსაც 20-ზე მეტი საწარმო მიიღებს; არასტანდარტულ მანდარინს ქობულეთში ორი საკონსერვო ქარხანა შეუზღუდავი რაოდენობით ჩაიბარებს.

რაჭის ეროვნული პარკის ფართობი 4 759 ჰექტრით გაიზრდება

მთავრობის ინიციატივით მომზადებული პროექტი „რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ზურაბ ეზუგბაიამ წარუდგინა.

რაჭის დაცული ტერიტორიების გაფართოების შედეგად, სხვადასხვა კატეგორიებისგან შემდგარი დაცული ტერიტორიების კომპლექსური ქსელი შეიქმნება. კანონპროექტის თანახმად, რაჭის ეროვნული პარკის ფართობი 4 759 ჰექტრით გაიზრდება და ამბროლაურის მუნიციპალიტეტსაც მოიცავს. ასევე, ცვლილებების შედეგად, ამბროლაურის დაცული ლანდშაფტი და ხუთი ბუნების ძეგლი - უშოლთის, კიდობანის, საკიშორის, მურადის და შარეულას მღვიმეები შეიქმნება.

როგორც მინისტრის მოადგილე ზურაბ ეზუგბაიამ მოხსენებაში აღნიშნა, პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების სისტემის, რეგიონში რეკრეაციული სივრცის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ის ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი ტრადიციული მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ასევე, ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემების აღდგენასა და შენარჩუნებას.

რაჭის ეროვნული პარკი რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, ონის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ეროვნული პარკი 2023 წელს შეიქმნა და მისი საერთო ფართობი 50 835 ჰა-ია.

კომიტეტის წევრებმა კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებას მხარი დაუჭირეს.

ცვლილება, რომელიც ძალაში 2026 წლის 1 იანვრიდან შევა, ითვალისწინებს სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის გარკვეული საგნების მოხმარების აკრძალვას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ დამტკიცების თაობაზე“ 2022 წლის 8 ივნისის N 304 დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა

იკრძალება პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმელის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული ჭიქების და მათი თავსახურების წარმოება (გარდა ექსპორტის მიზნით წარმოებისა), იმპორტი და ბაზარზე განთავსება.

ასევე იკრძალება პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება.

აღსანიშნავია, რომ რეგულაცია არ ეხება პლასტმასისგან დამზადებულ ერთჯერადი გამოყენების შესაფუთ ნაკეთობებს (საგნებს), რომლებიც განკუთვნილია დაფასოებული სურსათისათვის.

დადგენილება გარკვეულ გარდამავალ პერიოდს ითვალისწინებს.

პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმელის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების და მათი თავსახურების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული ჭიქების და მათი თავსახურების რომლებიც განთავსებულია ბაზარზე ამ დადგენილების ამოქმედებამდე, დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იყოს დადგენილების ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში.

ასევე, პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერების და ჭიქების საშუალებით საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება შესაძლებელია დადგენილების ამოქმედებიდან (2026 წლის 1 იანვრიდან) ექვსი თვის განმავლობაში.

კონტროლს ტექნიკური რეგლამენტის ცვლილებების შესრულებაზე, კომპეტენციის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ არ იკრძალება პლასტმასის ზემოთ ჩამოთვლილი საგნების წარმოება ექსპორტის მიზნით. მწარმოებელი, რომელიც სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის საგნებს ამზადებს ექსპორტის მიზნით, ვალდებულია, წარმოების დაწყებამდე ერთი თვით ადრე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს წერილობით აცნობოს როგორც წარმოების დაწყების, ასევე, დამთავრების ვადების, დასამზადებელი ნაკეთობების (საგნები) რაოდენობის, საექსპორტო ქვეყნებისა და ექსპორტის განხორციელების ვადების შესახებ.

ქართველ ფერმერებს აგროკონსულტაციებს უცხოელი ექსპერტები გაუწევენ

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ტექნიკური დახმარების პროგრამაში ცვლილებები შევიდა. საქართველოს მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, სახელმწიფო პროგრამას ახალი მიზნობრიობა, უცხოური ექსპერტების მომსახურების თანადაფინანსება დაემატა.

პროგრამით დადგენილია კონსულტანტისა და ტექნიკური კონსულტანტის მომსახურების სფეროები. კერძოდ, კონსულტანტი განახორციელებს ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე, როგორც ღია ასევე დახურული გრუნტის შემთხვევაში, აგროსაქმიანობასთან დაკავშირებულ კონსულტაციებს, ხოლო ტექნიკური კონსულტანტი - განახორციელებს მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების მიმართულებით კონსულტაციებს.

პროგრამის დადგენილი პირობით, უცხოური კონსულტანტების მომსახურების ღირებულების 70% -ს სოფლის განვითარების სააგენტო დაფარავს. თანადაფინანსების ლიმიტი შეადგენს 30,000 ლარს. ტექნიკური კონსულტანტის მომსახურების შემთხვევაში თანადაფინანსების ლიმიტი განსაზღვრულია 70 %-ით, არაუმეტეს 10,000 ლარით. წლის განმავლობაში პროგრამით სარგებლობა ერთ პოტენციურ ბენეფიციარს შეუძლია 2- ჯერ, თანადაფინანსების ლიმიტი შეადგენს, ჯამში, 40,000 ლარს.

ტექნიკური დახმარების პროგრამაში უცხოელი კონსულტანტის მომსახურების თანადაფინანსების მისაღებად ბენეფიციარი უნდა იყოს არანაკლებ 10 პირისაგან შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ასოციაცია), სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი, ასევე, არანაკლებ 10 პირისგან შექმნილი „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი, წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

პროგრამით დადგენილი პირობაა, რომ უცხოური კონსულტანტის მომსახურებით სარგებლობისათვის პოტენციურ ბენეფიციარს ყავდეს აგრონომი და გააჩნდეს:

- მრავალწლოვანი კულტურების შემთხვევაში არანაკლებ 50 ჰა, ხოლო კენკროვანი კულტურების შემთხვევაში არანაკლებ 30 ჰა გაშენებული ერთი კულტურის ბაღები.
- კარტოფილის ან მარცვლოვანი ერთწლოვანი კულტურებისათვის ერთი კულტურის წარმოებისათვის არანაკლებ 100 ჰა, ხოლო ბოსტნეულის ან ბაღჩეულის ერთწლოვანი კულტურების შემთხვევაში ერთი კულტურის წარმოებისათვის არანაკლებ 50 ჰა სახნავი მიწის ფართობ(ებ)ი;
- სათბურის შემთხვევაში არანაკლებ 1 ჰა სასათბურე მეურნეობა;
- მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების მიმართულებით ტექნიკური კონსულტანტის მომსახურების მისაღებად პოტენციური ბენეფიციარი უნდა ფლობდეს არანაკლებ 2,000 ტონის ტევადობის შემნახველ ინფრასტრუქტურას.

პროგრამაში შესული ცვლილებები ხელს შეუწყობს აგროსასურსათო მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებას, რაც სამომავლოდ გაზრდის მოსავლის რაოდენობასა და ხარისხს.

კახეთში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ზეთისხილის გადამმუშავებელი საწარმო გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ალადაშვილთან და საქართველოს პარლამენტის დელეგატ გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში გია ბენაშვილთან ერთად, კომპანიის „სვანიძის ზეთისხილი“ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ზეთისხილის გადამმუშავებელი საწარმო გახსნა.

ახალი ქარხანა, რომელიც დღიურად 150 ტონამდე ნაყოფის გადამუშავებას ითვალისწინებს, აღჭურვილია უახლესი დანადგარებით, იტალიური და გერმანული წარმოების სისტემებით, რომლებიც სრულად შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს.

„ზეთისხილის კულტურა სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. ბაღების გაზრდილი ფართობის პირობებში ყოველ წელს ველოდებით მზარდ მოსავალს. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ პროდუქციის ადგილზე გადამუშავება, რაც ქმნის დამატებით ღირებულებას; ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. დღეს გახსნილი ახალი საწარმო ამ პროცესს კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს და მეტი ადამიანისთვის შექმნის კეთილდღეობას. ახალი საწარმოს შესაძლებლობები არა მხოლოდ ადგილობრივი წარმოების ზრდას, არამედ ექსპორტის გაფართოებასაც განაპირობებს. საერთაშორისო ბაზრებზე სულ უფრო მეტი ქართული ხარისხიანი პროდუქცია დაიმკვიდრებს საკუთარ ადგილს, რაც ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებლებში იქნება ასახული“, - აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

საწარმო სეზონურად 150-მდე ახალ სამუშაო ადგილს შექმნის, რომელთა უმეტესობა ადგილობრივი მოსახლეობით შეივსება. ქარხნის მუშაობა ხელს შეუწყობს ფერმერების ზეთისხილის

მოსავლის რეალიზაციას და ქართული აგროწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას საერთაშორისო ბაზრებზე.

„ჩვენი მიზანია, საქართველო ზეთისხილის მსოფლიო რუკაზე ერთ-ერთ წამყვან მწარმოებლად ვაქციოთ. საწარმო არამხოლოდ სვანიძის ბაღებს მოემსახურება, არამედ მთელი საქართველოს ფერმერების მოსავალს ჩაიბარებს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს გვერდში დგომა და ის პროგრამები, რომელსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს",- განაცხადა კომპანიის დამფუძნებელმა გიორგი სვანიძემ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით 3,208 ჰა ფართობზე გაშენდა ზეთისხილის ბაღები, რომლის თანადაფინანსების თანხამ 22 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

გარდა ამისა, ზეთისხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობის მიზნით, პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში, ბანკების მიერ გაცემულია 9 მლნ ლარზე მეტი ღირებულების 27 სესხი, სადაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 3 მლნ ლარზე მეტს შეადგენს.

არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციით, ფერმერებმა 8,8 მლნ ლარის შემოსავალი მიიღეს

მიმდინარე წლის 9 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში, სახელმწიფო პროგრამაში ჩართულმა ხილის გადამმუშავებელმა 15 საწარმომ 29 000 ტონაზე მეტი არასტანდარტული ვაშლი ჩაიბარა. შედეგად, ფერმერებმა 8,8 მლნ ლარამდე შემოსავალი მიიღეს, სახელმწიფო სუბსიდია დაახლოებით 2.9 მლნ ლარს შეადგენს.

არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, არასტანდარტული ვაშლის შესყიდვის შემთხვევაში, სახელმწიფო სუბსიდიას იღებენ ხილის გადამმუშავებელი ის კომპანიები, რომლებიც 2025 წლის 15 დეკემბრამდე, მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირებისგან 1 კგ არასტანდარტულ ვაშლს არანაკლებ 27 თეთრად შეისყიდიან; სოფლის განვითარების სააგენტო 1 კგ არასტანდარტულ ვაშლზე 10 თეთრის ოდენობის სუბსიდიას გასცემს.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, არასტანდარტულ ვაშლს იბარებენ ხილის გადამმუშავებელი საწარმოები შიდა ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთის და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონში.

ესპანეთის სამეფოში, ქ. მადრიდში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე FRUIT ATTRACTION 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი პირველად მოეწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, ესპანეთის სამეფოში, ქ. მადრიდში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე FRUIT ATTRACTION 2025 ქართული ნაციონალური პავილიონი პირველად მოეწყო

ქართულ პავილიონში წარმოდგენილი იყო ლურჯი მოცვის, თხილისა და სანელებლების მწარმოებელი კომპანიების: „ბლუ ბერდ ბერიზ", „გოლდენ ფარმს", „S.R.T", „აგროლეინი", „აგრო ველი", „ჯენტრი ინვესტმენტს", „ალფაინ სფაისიზ", „აგრითაჩი", „ხონის პლანტაციები" სტენდები.

საერთაშორისო გამოფენა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის მწარმოებლებისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. მათ საქმიანი კავშირების დამყარების მიზნით არაერთი შეხვედრა გამართეს.

„კომპანია S.R.T უკვე ორ ათეულ წელზე მეტია საქმიანობს თხილის წარმოების მიმართულებით და ექსპორტზე გააქვს ქართული თხილი. ჩვენთვის პრიორიტეტია საერთაშორისო პარტნიორებს მაღალი ხარისხის ქართული პროდუქცია მივაწოდოთ. სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით წელს პირველად ვიღებთ მონაწილეობას მადრიდში, საერთაშორისო გამოფენაში, რაც უნიკალურ შესაძლებლობას გვაძლევს დავამყაროთ ახალი საქმიანი კონტაქტები და ხელი შევუწყოთ ქართული თხილის სექტორს, საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე",- აღნიშნა კომპანიის „S.R.T" გაყიდვების მენეჯერმა ნინო არდიამ.

„მადლიერები ვართ, რომ გვეძლევა შესაძლებლობა ქართული პროდუქცია, ამ შემთხვევაში მოცვი, გავაცნოთ ახალ შემსყიდველებს. ესპანეთი ძალიან საინტერესო ქვეყანაა ექსპორტის მიმართულებით. ახალი მყიდველები, პოტენციური კომპანიები, დაინტერესებულები არიან ქართული მოცვით და ვფიქრობთ, საინტერესო შედეგები გვექნება",- აღნიშნა კომპანიის „შპს ბლუ ბერდ ბერიზ" დამფუძნებელმა ბაია სალუქვაძემ.



„ჩვენთვის, როგორც მწარმოებლებისთვის, მნიშვნელოვანია პროდუქცია გავაცნოთ საერთაშორისო ბაზარს. ეს გამოფენა რეალური შანსია იმისა, რომ პარტნიორებთან უკვე ექსპორტზე დავიწყოთ კომუნიკაცია. კომპანია „აგროლეინი" თითქმის ყველა საერთაშორისო გამოფენაში იღებს მონაწილეობას, რაშიც ყოველწლიურად გვეხმარება სოფლის განვითარების სააგენტო. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული გამოფენა შედეგიანი იქნება არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ აქ წარმოდგენილი ყველა მწარმოებლისვის", -აღნიშნა კომპანიის „აგროლეინი" დირექტორმა გიორგი ღვინიაშვილმა.



აღსანიშნავია, რომ გამოფენის ფარგლებში სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ნიკა ურუშაძე, ლურჯი მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის დირექტორ შოთა ცუკოშვილთან და ქართულ პავილიონში წარმოდგენილ ლურჯი მოცვის მწარმოებლებთან ერთად, მოცვის საერთაშორისო ორგანიზაციის თავმჯდომარე მარიო სტეტას შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ქართული მოცვის სექტორის განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს. როგორც მარიო სტეტამ აღნიშნა, საქართველოს აქვს უნიკალური პოტენციალი, გახდეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე ევროპასა და აზიას შორის მოცვის მიწოდების ჯაჭვში.

ლურჯი მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტის, შოთა ცუკოშვილის განცხადებით, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას როგორც ახალი სავაჭრო კავშირების დამყარებისთვის, ასევე ქართული მოცვის სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიკაციისათვის.

საერთაშორისო გამოფენაში Fruit Attraction მსოფლიოს 150 ქვეყნიდან 2,200-ზე მეტმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. გამოფენას 120 ათასზე მეტი ვიზიტორი სტუმრობდა.

„მდიდარ და ინტენსიურ კახურ, ასევე ქართლის კაშკაშა არომატებთან ერთად, იმერეთსა და რაჭაში აღმოჩენილი ღვინოები სრულყოფილებაა“, - ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი

დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ორგანიზებით, საქართველოს ბრიტანეთიდან სომელიეების, ღვინის იმპორტიორების, მედიისა და ‚Swirl Wine Group-ის წარმომადგენლების 12-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა.

ბრიტანელმა სტუმრებმა ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები და მარნები, ქართლში, იმერეთსა და რაჭაში დაათვალიერეს.

„საქართველოში, 10 წლის განმავლობაში არაერთი სტუმრობის მიუხედავად, ეს ჩემი პირველი ვიზიტია იმერეთსა და რაჭაში. დასავლეთ საქართველოს ღვინოები გამორჩეულია სიმსუბუქით, რაც ძალიან პოზიტიურია, მათ აქვთ ბევრი კაშკაშა არომატი და ჰარმონიულად ეწყობა აღმოსავლეთის უფრო მრავალფეროვან ღვინოებს. ფანტასტიკურია ის პროფესიონალიზმი და თავდადება, რომელიც ნამდვილად იკვეთება დასავლეთ საქართველოს მეღვინეობებში. ჩვენ დავაგემოვნეთ საოცარი ღვინოები - თეთრი, ვარდისფერი, ქარვისფერი და წითელი. პროგრესი, რომელიც მიღწეულია რაჭაში, იმერეთსა და ქართლში, მართლაც არაჩვეულებრივია და, ვფიქრობ, რომ ჩვენ ვიხილავთ ამ ღვინოების უფრო და უფრო მეტ იმპორტს დიდ ბრიტანეთში; ჩვენ ვნახავთ, რომ საქართველო იქნება ძალიან ძლიერ პოზიციაზე საფერავით, ქარვისფერი ღვინით, წითელი ღვინით, რადგან საქართველოს შეუძლია შესთავაზოს მსოფლიოს მრავალფეროვანი გემოები. მდიდარ და ინტენსიურ კახურ, ასევე, ქართლის კაშკაშა არომატებთან ერთად, იმერეთსა და რაჭაში აღმოჩენილი ღვინოები სრულყოფილებაა“, - აღნიშნა „Swirl Wine Group“-ის ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა სარა ებოტიმ.

რეგიონული ტურის გარდა, ბრიტანელი ღვინის პროფესიონალებისთვის თბილისში გაიმართა სპეციალური დეგუსტაცია „Walk-around Tasting“, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმებელი 16 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინო.

საქართველოს პოლონელი ღვინის პროფესიონალები სტუმრობდნენ

პოლონეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR” ორგანიზებით, საქართველოში პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა.

8-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინის იმპორტიორები, კომერციული სექტორის და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „People PR” წარმომადგენლები.

ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართლისა და კახეთის რეგიონებში იმყოფებოდნენ, სადაც ღვინის საწარმოები დაათვალიერეს, ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური წესით, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებულ ქართული ღვინოები.

პოლონელი სტუმრებისთვის თბილისში ქართული ღვინის დეგუსტაციაც გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანიის სხვადასხვა ღვინო. ქართველმა ღვინის მწარმოებლებმა შეფასებები და რეკომენდაციები მიიღეს პოლონელი პროფესიონალებისგან.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში გერმანელი ინფლუესერების ტური გაიმართა

გერმანიის ბაზარზე ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოში გერმანელი ინფლუესერების ტური გაიმართა.

ჯგუფის წევრები, რომელთა შორის იყვნენ სომელიეები, ბლოგერები, ვიდეო-ფოტოგრაფები, ქართლსა და კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებსა და მარნებს ეწვივნენ. მეღვინეობებში სტუმრებმა დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები, გაეცნენ ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანოვან ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს. ინფლუესერების მიერ საქართველოს და ქართული ღვინის შესახებ მომზადებული რეპორტაჟები ხელს შეუწყობს გერმანიაში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას და პოპულარიზაციას.

საქართველოს ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი (Lisa Perrotti-Brown) სტუმრობდა

ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ამერიკულ კომპანიასთან „Big Sky Ranch Inc” თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს ამერიკელი ღვინის მაგისტრი ლისა პეროტი-ბრაუნი (Lisa Perrotti-Brown) სტუმრობდა.

ლისა პეროტი-ბრაუნი ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს და მარნებს იმერეთსა და რაჭაში ეწვია, ადგილზე დააგემოვნა მრავალფეროვანი ქართული ღვინოები, გაეცნო ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებს, თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე სხვადასხვა ღვინის კომპანიის 50-მდე ღვინო დააგემოვნა.

ამერიკელი ღვინის მაგისტრი გურჯაანის ღვინის ფესტივალსაც სტუმრობდა, სადაც წარმოადგინა პრეზენტაცია ქართული ღვინის ამერიკის ბაზარზე ექსპორტის პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე.

ლისა პეროტი-ბრაუნმა ვიზიტის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს ღვინოებზე მორიგი სტატია ამერიკული გამომცემლობისთვის „The Wine Palate“ მოამზადა. მიმდინარე წლის ივლისის თვეში ვიზიტის შემდეგ, სტატია სათაურით „ქართული ღვინოები გლობალურ ასპარეზზე გამოდიან“ ლისა პეროტი-ბრაუნმა „The Wine Palate“-ში სექტემბრის თვეში გამოაქვეყნა.

ონლაინ გამოცემა „The Wine Palate“ (ღვინის გემო) მოიცავს ექსპერტების მიერ შეფასებული ღვინოების მონაცემთა ბაზას მთელი მსოფლიოდან, განახლებადი მიმოხილვებით.

სეულში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კორეული მარკეტინგული კომპანიის „Wine21.com" ორგანიზებით, ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა კორეის რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა.

სეულში გამართული ღონისძიება მოიცავდა პროფესიულ მასტერკლასს, დეგუსტაციას და ქართული ღვინის ფესტივალს 400 მოწვეული სტუმრისთვის, რომელთა შორის, მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები იყვნენ.

ქართული ღვინის მასტერკლასი კომპანიის „Wine21.com" აღმასრულებელმა დირექტორმა მიკი ჩოიმ და კორეის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა მიხეილ თიგიშვილმა გახსნეს.

სტუმრებს ქართული ღვინის ისტორიისა და თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგის კოორდინატორმა მარიამ მეტრეველმა წარუდგინა.

ქართული ღვინის მწარმოებელმა ათამდე კომპანიამ ინდივიდუალური პრეზენტაციები და სხვადასხვა დასახელების ღვინო წარადგინეს.

ღონისძიების მეორე ნაწილში, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანიის მიერ, ადგილობრივი იმპორტიორების, ჰორეკა სექტორის წარმომადგენლებისა და სომელიეებისთვის დეგუსტაცია გაიმართა.

ღონისძიების დასკვნითი ნაწილი ქართული ღვინის ფესტივალით დასრულდა, რომელიც მოიცავდა საზეიმო მიღებას დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების, დარგის ადგილობრივი ექსპერტების, ჟურნალისტებისა და ინფლუენსრებისთვის, ასევე ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებულ საინფორმაციო აქტივობებს.

ქართული ღვინო საფრანგეთში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim TERRAVINI" იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien" ორგანიზებით, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim TERRAVINI" ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა.

„Salon Savim TERRAVINI"-ის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 5 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის სხვადასხვა დასახელების ღვინოებს. აღნიშნული ფესტივალი ითვლება საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებად, რომელსაც ყოველწლიურად ათი ათასობით ღვინის პროფესიონალი, HoReCa სექტორის წარმომადგენელი და მომხმარებელი სტუმრობს.

ფესტივალის სტუმრებს ქართული ღვინო საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა, კომპანიის „Le Pont Caucasien" ხელმძღვანელმა ილია კახოიძემ წარუდგინა.

ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ოქტომბრის თვეში, ქართული ღვინო საფრანგეთში ასევე იყო წარმოდგენილი ფესტივალზე „Arts &Vin".

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს ახორციელებს, მათ შორის, მეღვინეობით სახელგანთქმულ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, სადაც ქართულ ღვინოზე, განსაკუთრებით კი, ქვევრის ღვინოზე, მოთხოვნა მუდმივად მზარდია.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინო ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით და ფინეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ჩართულობით, ქართული ღვინის მწარმოებელი ხუთი კომპანია ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰელსინკში ღვინისა და საკვები პროდუქტების საერთაშორისო გამოფენაში „VIINI & RUOKA" მონაწილეობდა.

ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, სკანდინავიისა და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ბოლო წლებში, მრავალი მნიშვნელოვანი მარკეტინგული აქტივობა განხორციელდა. ფინეთის რესპუბლიკაში, შვედეთის სამეფოში, დანიის სამეფოსა და ისლანდიაში რამდენიმე მასშტაბური ღონისძიება გამართა, რის შედეგადაც, აღნიშნულ ქვეყნებში გამოიკვეთა ქართული ღვინით მზარდი დაინტერესება.

გამოფენა „VIINI & RUOKA" ფინეთში მეღვინეობის სფეროში ერთ-ერთ წამყვან ღონისძიებად ითვლება, რაც ქართველი მწარმოებლებისთვის წარმოადგენს საუკეთესო შესაძლებლობას, პოტენციურ იმპორტიორებს ადგილზე გააცნონ საკუთარი პროდუქცია და ახალი სავაჭრო პარტნიორები მოიძიონ.

გამოფენაში მსოფლიოს მეღვინეობის წამყვანი ქვეყნების 100-მდე ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა და მას ტრადიციულად 10 ათასამდე ვიზიტორი დაესწრო.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინო ნიუ-იორკში გამართულ ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე იყო წარმოდგენილი

ქართული ღვინის აშშ-ს ბაზარზე ექსპორტის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე „Karakterre" რვა ქართული ღვინის მარანი იყო წარმოდგენილი. მიმდინარე წელს, ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.

ფესტივალი „Karakterre" მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ღვინის ფესტივალია, რომელიც ორგანულ, ბიოდინამიკურ და ბუნებრივი ღვინის მწარმოებლებს აერთიანებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ის ყოველწლიურად იმართება ავსტრიის ისტორიულ ადგილებში და ნიუ-იორკში. წელს ფესტივალში 200-მდე ღვინის მწარმოებელი მსოფლიოს 30-მდე ქვეყნიდან მონაწილეობდა.

ფესტივალის ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, სხვადასხვა სტილის 15-მდე ქართული ღვინო დაეგემოვნებინა, რაც უმნიშვნელოვანესია ქართული ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის ზრდისთვის.

ფესტივალის ფარგლებში, საფერავის მასტერკლასიც გაიმართა.

ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ ბაზარზე - აშშ-ში, ღვინის ეროვნულ სააგენტო ქართული ღვინის მარკეტინგულ კამპანიას უმსხვილეს ამერიკულ მარკეტინგულ კომპანიასთან „Colangelo&Partners" თანამშრომლობით ახორციელებს. კამპანიის ფარგლებში, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში იმართება დეგუსტაცია-სემინარები ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისთვის. ასევე, ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე, მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში, რაც ხელს უწყობს ამერიკულ ბაზარზე ქართული ღვინის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას.

ქართული ღვინო გამოფენაზე „China Food and Drinks Fair" იყო წარმოდგენილი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Bogvi International Trading Company Ltd" ორგანიზებით, ქართული ღვინის მწარმოებელი რვა კომპანიის 25-მდე სხვადასხვა სტილის ღვინო ჩინეთის საკვებისა და ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „China Food and Drinks Fair" იყო წარმოდგენილი. მიმდინარე წელს, გამოფენა ძიანგსუს პროვინციის ქალაქი ნანჯინგში გაიმართა.

„China Food & Drink Fair", რომელიც წელს 113-ედ ჩატარდა, ერთ-ერთ ყველაზე პროფესიონალურ და გავლენიან გამოფენად ითვლება აზიაში. გამოფენას, ტრადიციულად, 300 ათასამდე ვიზიტორი ჰყავს; გამოფენას ესწრებოდნენ ღვინის იმპორტიორები, ბლოგერები, დისტრიბუტორები, HoReCa (სასტუმრო-კაფე-რესტორანი) სექტორის, მედიისა და ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან. მასზე ქართული ღვინის წარდგენა ხელს შეუწყობს ახალი სავაჭრო პარტნიორების მოზიდვასა და შესაბამისად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ექსპორტის ზრდას.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია. ჩინეთი მყარად დამკვიდრდა ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში. მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირებულია 2,2 მლნ ლიტრი ქართული ღვინო, რაც 16%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ნიდერლანდების სამეფოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker" ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოში, ქალაქ მაასტრიხტში, საერთაშორისო გასტრონომიულ ფესტივალზე „Folie culinaire" ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა.

სამდღიანი ღონისძიების ფარგლებში, ათასობით სტუმარს შესაძლებლობა მიეცა, დაეგემოვნებინა ქართული ღვინის მწარმოებელი 20-მდე კომპანიის 50-მდე სხვადასხვა სტილის როგორც კლასიკური, ისე ქვევრის ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოები.

ფესტივალი 2013 წლიდან ტარდება და მას ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, კომერციული, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რაც მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდისთვის ევროპის ღვინის ბაზარზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს ამერიკის, ევროპის და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზრებზე ახორციელებს.

ჩინეთში ექსპორტირებულია 2,2 მლნ ლიტრი ქართული ღვინო, რაც 16%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე კანადაში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის შეხვედრაში მონაწილეობდა

World Wine Trade Group

კანადის ქალაქ კელოვნაში, გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წლიურ შემაჯამებელ შეხვედრაზე, მონაწილეებმა ღვინით ვაჭრობის მარეგულირებელი შეთანხმებების განახლებისა და დარგის მდგრადი განვითარების საკითხები განიხილეს.

„შეხვედრაზე ვიმსჯელეთ იმ გზებზე, თუ როგორ შეიძლება გავუადვილოთ ღვინის მწარმოებლებს სავაჭრო ბარიერების გადალახვა და როგორია მთავრობების როლი ღვინის ინდუსტრიის განვითარების საქმეში. ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფში საქართველოს მონაწილეობის ძირითადი მიზანია ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება, რომ უფრო მეტი ქართული უნიკალური და ხარისხიანი ღვინო გაიყიდოს საერთაშორისო ბაზრებზე", - აღნიშნა ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლამ.

სამუშაო შეხვედრაზე განხილული იყო WWTG-ის როლი გლობალური ღვინის ბაზრის ინიციატივების რეალიზებაში, უალკოჰოლო და დაბალალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის ხელშეწყობაში, ასევე, განიხილეს WWTG-ის საქმიანობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხები.

1998 წელს დაფუძნებული ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფი (WWTG) ღვინის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანებაა და საქართველოსთან ერთად, მისი წევრები არიან აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა და ურუგვაი.

ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელება. WWTG წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პლატფორმას ინფორმაციის გაზიარებისა და ვაჭრობის დაბრკოლებებთან დაკავშირებული პოზიციების კოორდინაციისთვის.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფს (WWTG) საქართველო 2014 და 2023 წლებში როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით თავმჯდომარეობდა. ორივე შემთხვევაში, წევრი ქვეყნების მხრიდან ქართული მხარის საქმიანობა დადებითად შეფასდა. ამჟამად, WWTG-ის თავმჯდომარე ქვეყანა კანადაა.

გამოფენა „ProWine São Paulo" ბრაზილიაში

ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ბრაზილიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში „ProWine São Paulo" მონაწილეობდნენ

ღვინის ეროვნული სააგენტოს და ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქალაქ სან-პაულოში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „ProWine São Paulo" ქართული ღვინის მწარმოებელი ხუთი კომპანია მონაწილეობდა.

მსგავს მასშტაბურ გამოფენაზე ქართველი მწარმოებლების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისთვის.

გამოფენაზე „ProWine São Paulo" იმყოფებოდა და ქართველ მეწარმეებს შეხვდა ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი ვასილ კუჭუხიძე.

ქართული ქარვისფერი ღვინო აშშ-ში გამოფენაზე „Orange Glou Fair" იყო წარმოდგენილი

აშშ-ს ბაზარზე ქართული ქარვისფერი ღვინის ცნობადობისა და პოპულარიზაციის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე „Orange Glou Fair" საქართველოდან რვა მარნის 15-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი. ფესტივალის ერთ-ერთი სპონსორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.

გამოფენაში „Orange Glou Fair" მსოფლიოს შვიდი ქვეყანა მონაწილეობდა - საქართველო, აშშ, ავსტრია, საფრანგეთი, უნგრეთი, სლოვენია და გერმანია. 40-მდე კომპანიამ 150-მდე ღვინო წარმოადგინა.

ფესტივალი „Orange Glou Fair" 2022 წლიდან იმართება და ტრადიციულად, ქარვისფერი/ნარინჯისფერი ღვინის მწარმოებლები იკრიბებიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ფესტივალის ფარგლებში, ქართული ქარვისფერის ღვინის დეგუსტაციაც გაიმართა.

„ქარვისფერი ღვინო პირველად, 8000 წლის წინ საქართველოში დააყენეს და მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში, დაახლოებით 30 წლის წინ, ორმა იტალიელმა მეღვინემ - ჯოსკო გრავნერმა და სტანკო რადიკონმა გაავრცელა, რომელთაც სურდათ, ამ ღვინის დაყენების სტილის შესწავლა. დღეს რამდენიმე ათასი ღვინის მწარმოებელია, რომლებიც ამზადებენ ქარვისფერ ღვინოს სხვა სტილებთან ერთად", - აღნიშნულია გამოფენის „Orange Glou Fair" ოფიციალურ რელიზში.

ჩინეთში ექსპორტირებულია 2,2 მლნ ლიტრი ქართული ღვინო, რაც 16%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

რთველი 2025-ის ფარგლებში, რეკორდული რაოდენობის, 340 ათასამდე ტონა ყურძენი გადამუშავდა

მიმდინარე წელს, საქართველოს მევენახეობის რეგიონებში გადამუშავებული 336 ათასამდე ტონა ყურძენი ბოლო 30 წლის ყველაზე მაღალი, რეკორდული მაჩვენებელია. ქვეყნის მასშტაბით მოსავალი 22 ათასამდე მევენახე ფერმერმა დააბინავა. მევენახეების შემოსავალმა 477 მლნ ლარს მიაღწია. ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში ჩართული იყო 500-ზე მეტი ღვინის საწარმო.

საქართველოს მასშტაბით ყურძნის მოსავალი სრულად დაბინავებულია.

გადამუშავებული ყურძნიდან უდიდესი წილი, 330 ათასამდე ტონა, კახეთზე მოდის, რაც ასევე რეკორდული მაჩვენებელია. კახეთში ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავლებმა 432 მლნ ლარს მიაღწია.

მთავრობის გადაწყვეტილებით, წელს კახეთის რეგიონში ღვინის საწარმოებზე სუბსიდია აღარ გაიცა. ჭარბ ყურძენს სახელმწიფო საწარმო შპს „მოსავლის მართვის კომპანია" ხარისხის მიხედვით დიფერენცირებულ ფასად იბარებდა: კახეთის რეგიონში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძენს - 1.50 ლარად, „ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონით ნებადართულ სხვა საღვინე ჯიშებს - 1.20 ლარად, არაკონდიციურ და დაზიანებულ/ან დაავადებულ ყურძენს - 1.00 ლარად.

წელს რაჭაში გადამუშავებულია ასევე რეკორდული, 3 ათას ტონამდე სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, საიდანაც უდიდესი წილი ალექსანდროული და მუჯურეთულია. მოსავალი 1400-ზე მეტმა მევენახემ დააბინავა, ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 23,5 მლნ ლარს მიაღწია.

რაჭის რეგიონში, კერძო სექტორის სტიმულირების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, სუბსიდირების პროგრამა განხორციელდა. სუბსიდიის მიმღებია ყველა ის კომპანია, რომელმაც შეიძინა და გადაამუშავა „ხვანჭკარას" მიკროზონაში მოწეული არანაკლებ 3 ტონა ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენი და მევენახეს არანაკლებ 8 ლარი გადაუხადა. სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ღვინის კომპანიები იღებენ, შეადგენს 4 ლარს, როგორც 1 კგ ალექსანდროულის, ასევე, 1 კგ მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე.

ქართულმა ხორბალმა ქვეყნის ყველა რეგიონში მყარი პოზიცია უნდა დაიკავოს, ხოლო მასთან დაკავშირებული მემკვიდრეობა მომავალ თაობებს გადაეცეს

UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობითი ნომინაციების შემფასებელი საბჭოს მიერ „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“ დადებითი რეკომენდაცია გაიცა. საბოლოო განხილვა UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-20 სესიაზე შედგება, რომელიც 8-13 დეკემბერს ინდოეთში, დელიში გაიმართება.

„ქართული ხორბალი წარმოადგენს აგრონომიულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ უძველეს სამიწათმოქმედო კულტურას, რომლის წარმოშობა და მოშინაურება ნეოლითის პერიოდს უკავშირდება. ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების სიმრავლე, განსაკუთრებული ნიშან-თვისებები განაპირობებს მათ მიმართ დიდ ინტერესს, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. სწორედ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქართული ხორბლის ენდემური სახეობებისა და ადგილობრივი ჯიშების მოძიება, აღდგენა, შენარჩუნება და მათი თემებში და ფერმერულ მეურნეობებში გავრცელებაა“, - აღნიშნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მრავალი წელია მუშაობს ქართული ხორბლის ენდემური სახეობებისა და ჯიშების როგორც წარმოებაში დაბრუნების, ასევე, გენეტიკურ ბანკში კონსერვაციის მიმართულებით. ცენტრის მიზანია, ქართულმა ხორბალმა ქვეყნის ყველა რეგიონში მყარი პოზიცია დაიკავოს, ხოლო მასთან დაკავშირებული საერო, საეკლესიო რიტუალები, კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციები და ცოდნა მომავალ თაობებს გადაეცეს.

„ქართული ხორბლის ცნობადობის გაზრდის მიზნით, ცენტრი რეგულარულად ატარებს სადემონსტრაციო დღეებს, ტრენინგებსა და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რათა ქართული ხორბლის კულტურა დარჩეს ცოცხალ ტრადიციად და ქვეყნის თანამედროვე სოფლის მეურნეობის ორგანულ ნაწილად, როგორც სასურსათო უსაფრთხოების გარანტი“, - განაცხადა ლევან უჯმაჯურიძემ.

ერთმარცვალა ხორბლის T. monococcum L. სახელწოდება „გვაწა ზანდური“ კულტურული ხორბლის უძველესი კილიანი სახეობაა. მისი გავრცელების არეალი ზღვის დონიდან 900-1600 მეტრია.

გვაწა ზანდური – ქართული ხორბლის უძველესი ჯიში

ხორბალი საქართველოს უძველესი კულტურაა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI-V ათასწლეულში ითესებოდა და გამოირჩევა მრავალფეროვნებით. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი ხორბლის 27 კულტურული და ველური სახეობიდან 15 სახეობის ხორბალია დაფიქსირებული, 15-დან 5 სახეობა კი საქართველოს ენდემია.

წარსულში გვაწა ზანდური ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ნათესები გვხვდებოდა საქართველოს რეგიონებში: ქართლში, სამაჩაბლოში, რაჭა–ლეჩხუმში. გასული საუკუნის პირველ ნახევარში ეს სახეობა დასავლეთ საქართველოში, ძირითადად ჩელტა ზანდურთან (T. timopheevi Zhuk.) იყო შერეული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ იშვიათ მინარევად ხორბლის ნათესებში.

გვაწა ზანდური საგაზაფხულო ფორმაა, მიეკუთვნება კილიან ხორბლებს, ძნელად ილეწება. სიმაღლით 90-110 სმ. ღერო - წვრილი, მოქნილი, არ წვება. მუხლები - შებუსული. ფოთოლი - ვიწრო. თავთავი - ბრტყელი, თავთავის ღერაკი მტვრევადია. ფხები - გრძელი, თავთუნი - მოგრძო-ოვალური. მარცვალი - ვიწრო, წითელი ფერის. მოსავლიანობა - 1-1.5 ტ/ჰა-ზე. გამძლეა სოკოვანი დაავადებების მიმართ.



გვაწა ზანდური მაღალი კვებითი ღირებულების მცენარედ ითვლება, რადგან მის მარცვალში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ფოსფორი, კალიუმი, პიროდიქსინი და ბეტა-კაროტინი. გამოირჩევა გლუტენის მინიმალური შემცველობით, მისგან წარმოებული სასურსათი პროდუქტები მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება იმ პირთათვის ვისაც აქვს გლუტენის მიმართ აუტანლობა.

სახეობა გვაწა ზანდური შეტანილია ეროვნულ კატალოგში. სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ხდება სახეობის სერტიფიცირებული სათესლე მასალის მიღება.

სოფელ ნატანებში სადრენაჟე არხები იწმინდება

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მერეკგძელა-კაპროვანის დამშრობ მასივზე სარემონტო-საექსპლუატაციო ღონისძიებებს ატარებს.

სოფელ ნატანებში მაგისტრალური და შემკრები არხების, ჯამში, 4 კილომეტრამდე მონაკვეთის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

ჩატარებული სამუშაოები კოლექტორებში წყლის შეუფერხებლად გადინებას უზრუნველყოფს, რის შედეგადაც 30 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურება გაუმჯობესდება.

აღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლიანობის ზრდასა და მიწის რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

„საქართველოს მელიორაცია“ სისტემატურად ახორციელებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს ქვეყნის მასშტაბით, რაც მიზნად ისახავს როგორც სარწყავი, ასევე, სადრენაჟე ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას და სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

დალის მთის წყალსაცავის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

„საქართველოს მელიორაცია“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებს.

პროექტით გათვალისწინებულია დალის მთის წყალსაცავის წყალგამშვები კოშკის რეაბილიტაცია, კაშხლის დაზიანებული ფერდის მოპირკეთება, კოშკის ელექტრომექანიკური და ჰიდრავლიკური მოწყობილობებისა და დანადგარების დამონტაჟება.

ჩატარებული სამუშაოები ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

პროექტის ღირებულება 3.9 მლნ ლარია.

გორის მუნიციპალიტეტში სარწყავი არხები იწმინდება

შპს „საქართველოს მელიორაცია“ გორის მუნიციპალიტეტში, ტირიფონის ძველ მაგისტრალურ არხზე გაწმენდით სამუშაოებს ატარებს. მცენარეებისა და ნატანისაგან ჯამში 6,4 კმ სიგრძის არხი იწმინდება.

ამ დროისთვის სამუშაოები სოფელ მეჯვრისხევში მიმდინარეობს, სადაც 2.2 კილომეტრიანი მონაკვეთი უკვე გაწმენდილია. სამუშაოები ჩატარდება კირბალისა და ბერშუეთის ტერიტორიებზე.

ჩატარებული საექსპლუატაციო ღონისძიებების შედეგად, არხის გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც ნადარბაზევის წყალსაცავის შეუფერხებლად შევსებას უზრუნველყოფს.

ტირიფონის ძველი მაგისტრალური არხი სოფლების ზერტის, კირბალის, ბერშუეთის, ხურვალეთისა და საზღვრისმიღმა დარჩენილ სოფელ წინაგარას 700 ჰექტარზე მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს ამარაგებს სარწყავი წყლით.

დღეისათვის, შიდა ქართლის რეგიონში სამელიორაციო ინფრასტურქტურის 6 სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს. შედეგად, წყალუზრუნველყოფა 11,870 ჰექტარ სავარგულზე გაუმჯობესდება.

ხობის მუნიციპალიტეტში 7 კილომეტრი სიგრძის სადრენაჟე არხებზე გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტში გაწმენდით სამუშაოებს ატარებს. სოფლებში - პატარა ფოთსა და ჭალადიდში, ხე-ბუჩქნარისა და ნატანი მასისგან ჭალადიდის დამშრობი მასივის 7 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური არხი იწმინდება.

ჩატარებული სამუშაოები არხის გამტარუნარიანობას გაზრდის. შედეგად, უხვი ნალექის დროს, 730 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი და მიმდებარედ არსებული საკარმიდამო ნაკვეთები დატბორვისგან იქნება დაცული.

აღსანიშნავია, რომ, 2012-2024 წლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, დრენირებულია 12,395 ჰექტარი მიწის ფართობი.

იმერეთში ვანი-სამტრედიის დამშრობ მასივზე სამუშაოები მიმდინარეობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო სისტემების მოწესრიგების ფარგლებში, იმერეთში ვანი-სამტრედიის დამშრობ მასივზე სამუშაოებს ატარებს. ამ დროისათვის, სამუშაოები სოფლებში - მთისძირსა და გომში მიმდინარეობს, სადაც ჯამში 5 კმ-ზე მეტი ქსელი იწმინდება.

ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, არხისა და კოლექტორების გამტარუნარიანობა გაიზრდება, რაც 250 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და მიმდებარედ არსებულ საკარმიდამო ნაკვეთებს დატბორვისაგან დაიცავს. ვანი-სამტრედიის დამშრობი მასივის რეაბილიტაცია მიზნად ისახავს სადრენაჟე ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას და სოფლის მეურნეობის პოტენციალის გაზრდას.

იმერეთში, 2012-2024 წლებში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, 12 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობია წყალუზრუნველყოფილი, სარწყავი წყლის მიწოდება 15 265 ჰექტარზე გაუმჯობესდა, დრენირებული მიწის ფართობის რაოდენობა 3 385 ჰექტარია.

ახალქალაქის სოფლებში სარწყავი წყლის მიწოდება გაუმჯობესდება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაციამ“, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, დილისკა-პტენა-ჩუნჩხას სარწყავი სისტემის სარემონტო ღონისძიებები დაიწყო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტუმბო-აგრეგატების რეაბილიტაციის და 19.5 კილომეტრიანი მილსადენის სარემონტო სამუშაოები. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება და, საერთო ჯამში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში წყალუზრუნველყოფილი იქნება 1320 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

მილსადენი მოემსახურება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 3 სოფელს - დილისკას, პტენასა და ჩუნჩხას.

დილისკა-პტენა-ჩუნჩხას სარწყავი სისტემის სატუმბ სადგურზე ტუმბო-აგრეგატებისა და მილსადენის სარემონტო სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

ყველაზე გამორჩეული 5 ბილიკი, რომელიც შემოდგომით უნდა დალაშქრო

კინტრიშის ეროვნული პარკი / ხინოს ჩანჩქერის ბილიკი



კინტრიშის ეროვნული პარკი ქობულეთთან ახლოს მდებარეობს და კოლხური ტყეების სილამაზითაა ცნობილი. ხინოს ჩანჩქერამდე მიმავალი ბილიკის დალაშქვრას დაახლოებით 40 წუთი სჭირდება და გზად ენდემური მცენარეებითა და უძველესი ხეებით გარშემორტყმულ ხეობას მიუყვება. ჩანჩქერის ხმა და სუფთა ჰაერი ამ ადგილს განსაკუთრებულად ამაღელვებელს ხდის.

მტირალას ეროვნული პარკი / წაბლნარას ბილიკი



მტირალას ეროვნული პარკი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ნალექიანი ადგილია საქართველოში, ნამდვილ ტროპიკულ ჯუნგლებს ჰგავს. აქ შეგიძლიათ ისიამოვნოთ ერთდღიანი ბილიკით, პიკნიკით კოცონთან, ზიპლაინით და თოკების პარკის ატრაქციით. წაბლნარას ბილიკის ღირსშესანიშნაობებია კოლხურ ბზასა და სუროში ჩაფლული ჩანჩქერი (სიმაღლე 20 მეტრამდე) და კლდეებს შორის მდინარის მორევისგან შექმნილი ტბა. ჩანჩქერთან, ველური ბუნებაში მოწყობილია სპეციალური საკემპინგე ადგილი, ხოლო ტბასთან საპიკნიკე და ცეცხლის დასანთები ადგილები.

მაჭახელას ეროვნული პარკი / მთავარანგელოზის ბილიკი



მაჭახელას ეროვნული პარკი აჭარაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიმართულებაა. აქ ისტორია, კულტურა და ბუნება ერთმანეთს ერწყმის. წაბლის, წიფლისა და რცხილის ხეები მთავარანგელოზის მთის ბილიკზე თქვენი მთავარი მეგზურები იქნებიან, მთიდან კი საოცარი პანორამული ხედებით დატკბებით. მაჭახელას ხეობის მთავარი ხიბლი მისი ულამაზესი ბუნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანაცხოვრებაა, რომელიც საოცარ ისტორიასა და კულტურას ქმნის, რაც ნათლად აისახება თითოეულ ოჯახსა და ადამიანზე.

აჯამეთის დაცული ტერიტორიები / ვარციხე-საიმედოს ბილიკი



ქუთაისიდან 15 კილომეტრში მდებარე აჯამეთის აღკვეთილი შესანიშნავი ადგილია ოჯახთან და მეგობრებთან ერთად დროის გასატარებლად. 14 კილომეტრიანი წრიული ბილიკი შესაფერისია ნებისმიერი ასაკის ვიზიტორისთვის. აჯამეთის აღკვეთილის უძველესი მუხნარი განსაკუთრებულ სიმყუდროვესა და სიმშვიდეს შეგიქმნით.

ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი / მუცოს ბილიკი

ფშავ-ხევსურეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მხარეა. მუცოს ბილიკზე მოგზაურობა ისტორიისა და ბუნების ერთიანობას გაგრძნობინებს. თუ გსურს დრო სასიამოვნოდ გაატარო ველურ ბუნებაში, დატკბე ულამაზესი მდინარეებით, დასერილი მთებისა და ხმაურიანი ხევების ყურებით და ამავდროულად ეზიაროს გამორჩეულ კულტურულ მემკვიდრეობას, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, სწორედ რომ ასეთი სანახაობას გპირდება

ბუნება აჯილდოებს: საქართველოს ტბების კონსერვაცია ადგილობრივი ეკონომიკის სასიკეთოდ

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) პროგრამის ფარგლებში. ეს პროგრამა 2018 წლიდან ეხმარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს ბუნებრივი კაპიტალისა და ჯანსაღი საარსებო გარემოს შენარჩუნებაში იმგვარი გზებით, როგორიცაა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ქმედების მხარდაჭერა, მწვანე ზრდის შესაძლებლობების წარმოჩენა და შეთავაზება, გარემოსთან დაკავშირებული რისკებისა და უარყოფითი გავლენის სამართავად უკეთესი მექანიზმების დანერგვა. პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მის რამდენიმე თემატურ მიმართულებას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს. შემოთავაზებული მასალა ეკოსისტემური მომსახურებისა და ბუნებრივი საარსებო წყაროების თემატიკას განეკუთვნება, რომელსაც მსოფლიო ბანკი უძღვება. პუბლიკაციაზე იმუშავა ავტორთა ჯგუფმა, რომელიც შეზღუდული არ იყო თავისი მოსაზრებებისა და დასკვნების ევროკავშირის ან მსოფლიო ბანკის შეხედულებებთან თანხვედრის ვალდებულებით“.

მონათხრობის საკვანძო გზავნილი:

- გლობალური მნიშვნელობის სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა საქართველოში ხელს უწყობს ეკოტურიზმს, ავითარებს ადგილობრივ წარმოებას და ამტკიცებს თემის საარსებო წყაროებს.
- საკონსერვაციო ზომების მიღებამ და თემის ჩართულობამ ხელი შეუწყო კავკასიაში გადაშენების პირას მყოფი ზღვის იხვის - გარიელის გადარჩენას.
- ჯავახეთის ტბებისა და საქართველოში მდებარე სხვა დაცული ტერიტორიების მომავალს განსაზღვრავს მათ დასაცავად გაღებული ძალისხმევა და სწორი ბალანსის დაცვა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მასზე საზოგადოებრივ ხელმისაწვდომობას შორის.

ბუნების დაცვა გამართლებულია ეკონომიკური თვალსაზრისით. მსოფლიო ბანკის 2021 წლის ანგარიშის თანახმად, დაცული ტერიტორიებისა და მდგრადი ტურიზმის სფეროში დაბანდებული ყოველი დოლარის სანაცვლოდ, მთავრობა სულ მცირე ექვსი დოლარის მოგებას უნდა ელოდეს.

ამის თვალსაჩინო მაგალითი სამხრეთ საქართველოს სამცხე-ჯავახეთის მთიან რეგიონში მოიძებნება. ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მოშორებით მდებარე ეს ტერიტორია თავისი ალპური ლანდშაფტით, მტკნარწყლიანი ტბებითა და ვულკანური ზეგანებით, ველური ბუნების სავანეა.

ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ჯავახეთის ტბებზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან შესასვენებელ ადგილს პოულობს ევროპას, აზიასა და აფრიკას შორის გადამფრენი ათეულობით ათასი ფრინველი. ჯავახეთის ზოგიერთი ტბა შეტანილია ზურმუხტის ქსელში, რომელიც ევროპის ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად ბერნის კონვენციის ეგიდით დაარსებულ დაცულ ტერიტორიათა სისტემას წარმოადგენს.

ჯავახეთის კუთხეში მდებარე ბუღდაშენის, ხანჩალის, მადატაფის და ტაბაწყურის ტბები ზურმუხტის ქსელში შეტანილია როგორც თავშესაფარი ფრინველთა ისეთი მოწყვლადი სახეობებისთვის, როგორებიცაა გარიელი, ვარდისფერი ვარხვი, წითელთავა ყვინთია და ბექობის არწივი.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული და მსოფლიო ბანკის თანამონაწილეობით განხორციელებული პროგრამა EU4Environment ხელს უწყობს საქართველოს, აზერბაიჯანს, მოლდოვის რესპუბლიკას, სომხეთსა და უკრაინას გააფართოვონ ისეთი დაცული ტერიტორიები, როგორიც სამცხე-ჯავახეთის ტბებია, და შეინარჩუნონ თავიანთი ბუნებრივი კაპიტალი.

პროგრამა ეხმარება ამ ქვეყნებს გააუმჯობესონ გარემოსცადვითი რეგულაციები და ეკოსისტემური მომსახურების სხვადასხვა ფორმა, გააძლიერონ დაცული ტერიტორიების მართვა და უზრუნველყონ გარემოს დაცვაში ადგილობრივი თემების ჩართულობა.

ვარდისფერი ვარხვები. მაია დუიშვილის ფოტო

გადაშენებას გადარჩენილი

კონსერვაციულმა ბიოლოგმა, ნიკა პაპოშვილმა, ტაბაწყურის ტბაზე გამართულ გასაოცარ სამაშველო მისიაში მიიღო მონაწილეობა.

2014 წელს წყლის ფრინველების კვლევისას ნიკამ გარიელების მცირე პოპულაცია აღმოაჩინა. გარიელი ზღვის იხვია, რომელიც ჩვეულებრივ არქტიკულ წრესთან ახლოს ბინადრობს. კავკასიაში ეს სახეობა 2007 წლიდან გადაშენებულად მიიჩნეოდა.

„არავინ მიჯერებდა, რომ ეს ფრინველები მართლა ვნახე“, - იხსენებს ნიკა. „თუ გარიელის გავრცელების არეალს მოიძიებთ, ნახავთ, რომ ის ძირითადად სკანდინავიის ქვეყნებში ბინადრობს. გარიელი არქტიკული ფრინველია“.

მიუხედავად სასიხარულო აღმოჩენისა, გარიელის პოპულაციის გადარჩენა ჯავახეთში საეჭვო იყო. ნამატის მომცემი დაახლოებით 25-30 ფრინველიდან 2017 წელს მხოლოდ ექვსმა მდედრმა მოახერხა შთამომავლობის მოცემა. სოფლის მაცხოვრებლები რეგულარულად ნადირობდნენ ფრინველებზე და მათი ბუდეებიდან კვერცხებს იღებდნენ. ზოგიერთი ფრინველი აკრძალულ სათევზაო ბადეებში იხლართებოდა და იღუპებოდა.

ნიკამ მიზნად დაისახა კავკასიაში შემორჩენილი უკანასკნელი გარიელები გადაერჩინა და სამი ზაფხული ტაბაწყურის სოფელში დაჰყო, სადაც საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა ბინადრობს.

„ჩემი ამოცანა სოფლის მაცხოვრებლებთან დამეგობრება იყო“, გვიხსნის ნიკა. ადგილობრივთა უმეტესობა ქართულად არ საუბრობს, ამიტომ ნიკა მათთან კავშირის დამყარებას სამიწათმოქმედო საქმიანობაში დახმარებით ცდილობდა – მათთან ერთად იღებდა კარტოფილს და აგროვებდა თივას.

დროთა განმავლობაში ნიკამ დაარწმუნა სოფლის მაცხოვრებლები, რომ ცოცხალ ფრინველებს მათთვის მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მონადირებულს. სოფელში ფრინველებზე დამკვირვებლებმა დაიწყეს სტუმრობა და ეკოტურიზმის სახით თემს ახალი საარსებო წყარო გაუჩნდა.

2020 წლის შემდეგ ბუნებიდან კვერცხების უკანონო ამოღება და ნადირობა სრულიად შეწყდა და 2024 წელისთვის ფრინველების პოპულაცია შვიდჯერ გაიზარდა. ამ წელს ტაბაწყურის ტბის ბინადარმა 45-მა წყვილმა გარიელმა მოახერხა გამრავლება.

ბალანსი ბიომრავალფეროვნების დაცვასა და გამოყენებას შორის

ჯავახეთის ტბებისა და საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების მომავალი დამოკიდებულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მასზე საზოგადო ხელმისაწვდომობას შორის ბალანსის დაცვაზე, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემს ისე მოიხმარონ ბუნებრივი საგანძური, რომ მას საფრთხე არ შეუქმნან და მომავალ თაობებსაც გადასცენ.

რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურა შეზღუდულია. სამველ მარგარიანი სოფელ განძანში მდებარე საოჯახო სასტუმროს მეპატრონეა. მას მიაჩნია, რომ ეკოტურიზმი ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების კარგი საშუალებაა და იმედოვნებს, რომ საკუთარი შემოსავლით მოახერხებს მცირე ბიბლიოთეკისა და, შესაძლოა, კინოთეატრის გახსნასაც, რაც სოფლის ცხოვრებას გამოაცოცხლებს.

„ბუნება ყოველთვის მიყვარდა. ტბაზე საბანაოდ ხშირად დავდიოდი. მსურს, ჯავახეთის სილამაზე მთელ მსოფლიოს დავანახო“.

მდგრად განვითარებაზე ზრუნვა

ჯავახეთის ტბებისთვის ზურმუხტის ქსელის ტერიტორიის სტატუსის მინიჭება მიუთითებს საქართველოს მზადყოფნაზე დაიცვას ეს ეკოსისტემები და დამატებითი სტიმულიც არის ამ მიზნის მისაღწევად. მაგრამ საბოლოო წარმატება ქვეყნის, მათ შორის ადგილობრივი თემების, ძალისხმევაზეა დამოკიდებული. მათ უნდა განკარგონ ბუნებრივი მემკვიდრეობა და უზრუნველყონ მისგან მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილება მთელს თემში, მასში შემავალი მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით.

ასეთი მიდგომით შეიქმნება ახალი შესაძლებლობები და სამუშაო ადგილები სოფლის მოსახლეობისთვის, ხელი შეეწყობა განვითარებას და შემცირდება ეკონომიკური უთანასწორობა საქართველოს რეგიონებს შორის.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ცანა 3-ის ტერიტორიაზე დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის მოწყობა

საბჭოთა კავშირის პერიოდში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცანას ტერიტორიაზე, მდინარე ყორულდაშის მახლობლად, არსებობდა დარიშხანის გადამმუშავებელი საწარმო. 1990-იან წლებში, აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტის შემდეგ, ადგილზე დარჩა დარიშხანის შემცველი ნარჩენების საკმაოდ დიდი რაოდენობა. ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, დარიშხანის შემცველი ნარჩენები ღია ცის ქვეშ, ყოველგვარი კონტროლის გარეშე დარჩა მიმოფანტული.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის N2495 განკარგულებით, ამბროლაურისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში არსებული, დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემურ მართვაზე, ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვრა სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, დარიშხანის შემცველი ნარჩენების საცავის მოწყობის მიზნით ჩატარდა კვლევები და მომზადდა ანგარიშები. ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებისა და შემდგომში, მისი განხორციელების მიზნით, ექსპერტებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, გაიმართა არაერთი საჯარო განხილვა, განისაზღვრა პრიორიტეტები უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად და დაიგეგმა დარიშხანის შემცველი ნარჩენების კონსერვაციის ღონისძიებები. მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, კონსერვაციის ღონისძიებები დაიყო ოთხ ფაზად:

I ეტაპი - 2023 წელს უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად დაიგეგმა პირველადი დაცვითი ღონისძიებების ჩატარება. განხორციელდა ცანა 1-ისა და ცანა 3-ის დაბინძურებული ტერიტორიების შეღობვის სამუშაოები, განთავსდა შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, რითიც შეიზღუდა სახიფათო ტერიტორიაზე ადამიანებისა და ცხოველების მოხვედრის ალბათობა.

II ეტაპი - 2024 წელს დასრულდა მდინარე ყორულდაშის მონოლითური რკინაბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის, წყალგამტარი არხისა და სალექარის მშენებლობის სამუშაოები. კერძოდ, აშენდა 224 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი, რომელიც წყალდიდობის (ასწლიანი განმეორებადობის) შემთხვევაში დაიცავს დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგს წარეცხვისაგან; სარკოფაგის ტერიტორიის დატბორვისა და დაჭაობებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, მოეწყო 350 მეტრის სიგრძის რკინაბეტონის არხი.

III ეტაპი - 2025 წელს მოეწყო 50 500 მ3 მოცულობის დარიშხანშემცველი ნარჩენების კონსერვირებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სარკოფაგის ძირი, რომელშიც მიმდინარე წელს განთავსდა ცანა 3-ზე არსებული დარიშხანის შემცველი ნარჩენები. მოეწყო სარკოფაგის ქვაბული პროექტით გათვალისწინებული ყველა საჭირო ფენით (გეოტექსტილი, ქვიშა, გეომემბრანა) და სადრენაჟო/სავენტილაციო სისტემით. საცავის გარშემო მოეწყო დამცავი ბერმა. სამუშაოების ბოლო ეტაპზე კი სარკოფაგი დამცავი ფენებით გადაიხურა.

IV ეტაპი - 2026 წელს დაგეგმილია დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის სრულად შევსება ცანა 1-სა და ცანა 2-ის ტერიტორიებზე არსებული დაბინძურებული გრუნტით, რის შემდეგაც სარკოფაგი სრულად გადაიხურება პროექტით გათვალისწინებული დამცავი ფენებით. ბოლოს კი დაგეგმილია ცანა 1, ცანა 2 და ცანა 3-ის დაბინძურებული მიწისგან გათავისუფლებული ტერიტორიების სრული რეკულტივაცია.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მუდმივ რეჟიმში ხორციელდება სარკოფაგის მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგი.

2025 წელს შავი ზღვის დაცვის კონვენციურმა სამმართველომ 200-ზე მეტი გემი შეამოწმა

როგორ კონტროლდება საქართველოს ნავსადგურებში შემოსული უცხოური გემები და რა ოდენობის ჯარიმების გადახდა უწევთ ზღვის დამბინძურებლებს

31 ოქტომბერს შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. 1996 წელს, სწორედ ამ დღეს მოაწერეს ხელი შავი ზღვის აუზის ქვეყნების წარმომადგენლებმა ზღვის დაცვის სტრატეგიულ გეგმას. მას შემდეგ შავი ზღვის დაცვას საქართველოშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და ეს მიმართულება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის პრიორიტეტულია.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო წყლის დაბინძურების მინიმუმამდე დაყვანის, ასევე უკანონო თევზჭერის ფაქტების პრევენციის, აღკვეთისა და გამოვლენის მიზნით, შავ ზღვაზე უწყვეტ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს. მიმდინარე წლის 10 თვეში სამმართველოს თანამშრომლებმა 200-ზე მეტი გემის ინსპექტირება განახორციელეს და 31 სამართალდარღვევა გამოავლინეს.

როგორ ხდება კონტროლი

შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველო გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ძირითადად საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ნავსადგურებში, ტერიტორიულ ზღვაში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში. სამმართველოს ბათუმისა და ფოთის განყოფილებების თანამშრომლები საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა თუ ნავსადგომებში 24-საათიან მონიტორინგს და შემოსული გემების ინსპექტირებას ახდენენ. ინსპექტირება გულისხმობს როგორც დოკუმენტაციის გადამოწმებას, ასევე გემის, მილსადენების მდგომარეობის შემოწმებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე, კონტროლი თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიებით ხორციელდება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, სამმართველოს აქვს 5 ავტოსატრანსპორტო და 3 მცურავი სატრანსპორტო საშუალება.

2025 წლის 10 თვის სტატისტიკა

შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, 2025 წლის იანვარ-ოქტომბერში, 204 გემის ინსპექტირება განახორციელეს და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 31 ფაქტი გამოავლინეს.

სამართალდარღვევებიდან 3 თევზჭერის წესების დარღვევის ფაქტია, 12 - ზღვის დაბინძურების ფაქტი, 16 - სხვა სამართალდარღვევა.

სამართალდარღვევების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 42 ათას ლარს აჭარბებს, სამართალდამრღვევების მიმართ დაკისრებული ჯარიმის ოდენობა კი, მილიონ ლარზე მეტია.

მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად მცირდება გემების მხრიდან ზღვის ნავთობშემცველი წყლებით დაბინძურების ფაქტები, რაც, ერთი მხრივ, შავი ზღვის კონვენციური სამმართველოს ეფექტიანი მუშაობის, მეორე მხრივ კი, გაზრდილი საჯარიმო სანქციების შედეგია, რასაც შემაკავებელი ეფექტი აქვს.

რა ოდენობის ჯარიმების გადახდა უწევთ სამართალდამრღვევებს

ბოლო წლებში ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები გატარდა და სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმების ოდენობა ძალიან გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალია ჯარიმა გემების მხრიდან ზღვის დაბინძურებაზე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან, მილსადენიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში მავნე, დამაბინძურებელი ნივთიერებების, საწარმოო, ტექნიკური ან სხვა სახის ნარჩენების ან/და მასალის ჩაღვრაზე, ჩაყრაზე, ჩაშვებაზე, აგრეთვე მათი ჩამარხვის წესის დარღვევით ზღვის დაბინძურებაზე ჯარიმა 100 000 ლარია, რასაც სამართალდარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობაც ემატება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გემების მიერ შავ ზღვაში სხვადასხვა სახის ნივთიერების, განსაკუთრებით კი ნავთობის ჩაღვრა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა რაიმე ტექნიკური გაუმართაობაა.

ზოგადად, ზღვის დაბინძურებაზე ჯარიმა კი, სამართალდარღვევის ტიპისა და სიმძიმის მიხედვით, 100 ლარიდან იწყება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ხმელეთიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ან სხვა ნარჩენის ჩაყრა გამოიწვევს სამართალდამრღვევის დაჯარიმებას 100 ლარიდან 300 ლარამდე. ხმელეთიდან ქიმიური ნივთიერებებით, ნავთობით, მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით ზღვის დაბინძურება ან დანაგვიანება 300-დან 600 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. ამ ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა 500-დან 800 ლარამდეა.

გემიდან, სხვა მცურავი საშუალებიდან, პლატფორმიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში საყოფაცხოვრებო (მყარი) ნარჩენების ჩაყრაზე 2000-ლარიანი ჯარიმა მოქმედებს; 20 000 ტონამდე საერთო ტევადობის გემიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაღვრაზე 5000-ლარიანი ჯარიმა მოქმედებს. 20 000 ტონა ან მეტი საერთო ტევადობის გემიდან ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ჩაღვრა კი გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 10 თვეში ქვიშა ხრეშის უკანონო მოპოვების 120 ფაქტი გამოავლინა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, 2025 წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით, ქვიშა-ხრეშის უკანონო მოპოვების 120 ფაქტი გამოავლინეს. მათგან 36 ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შესაბამის უწყებებში გადაიგზავნა.

სამართალდამრღვევებისთვის ჩამორთმეული სპეციალური ტექნიკის რაოდენობა 94 ერთეულია.

სამართალდარღვევების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ოდენობა 2 მილიონ ლარზე მეტია.

რაც შეეხება მიმდინარე წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოვლენილია 9 ფაქტი, მათგან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს 4 ფაქტი შეიცავს.

ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, აღკვეთა და გამოვლენა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის პრიორიტეტია. დეპარტამენტის ეკიპაჟები ქვეყნის მასშტაბით 24-საათიან უწყვეტ პატრულირებას ახორციელებენ და სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსულ თითოეულ შეტყობინებაზე მყისიერ რეაგირებას ახდენენ.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება

ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, საქართველოს ბიომრავალფეროვნება საკმაოდ მდიდარია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ფართოდაა წარმოდგენილი ფრინველების როგორც ენდემური, ისე სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სახეობები. გაგაცნობთ საქართველოს ფაუნის 4 წარმომადგენელს.

კოჭობა

მიწის კურდღლისებრნი

კოჭობა (ლათ. Carpodacus) - ფრინველების გვარი ბეღურასნაირთა რიგისა. ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და აზიაში. საქართველოში გვხვდება დიდი (ლათ. Carpodacus rubicilla) და ჩვეულებრივი კოჭობას (ლათ. Carpodacus erythrina) კავკასიური ქვესახეობები. ყველაზე ფართოდ ჩვეულებრივი კოჭობაა (ლათ. Carpodacus erythrina) გავრცელებული. მისი მასა 19-26 გრამს აღწევს. მამალი წითელია, მკერდზე უფრო კაშკაშა, ზურგი ჟოლოსფერია, ფრთები და ბოლო - მურა-წითელი. დედალი კოჭობა მორუხო-მურაა, სხეულის ქვედა მხარე უფრო ღია ფერისაა. ბინადრობს მთებში. გადამფრენია. ბუდეს იკეთებს ხეზე. დებს 3-6 კვერცხს. იკვებება მცენარის თესლით, კენკრით, ყვავილებით, მწერებით.

ყორანი

მიწის კურდღლისებრნი (ლათ. Dipodidae) - ძუძუმწოვარი ცხოველების ოჯახი მღრღნელების რიგისა. მათი სხეულის სიგრძე 5-26 სმ-ია. გავრცელებული არიან ევროპის, აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ჩრდილოეთ ამერიკის ველებზე, ნახევრად უდაბნოებსა და უდაბნოებში. ზოგიერთი სახეობა მთაში 2000 მ-მდე ადის. ოჯახში 11 გვარის 26 სახეობაა. საქართველოში გავრცელებულია 2 სახეობა (მცირეაზიური მთიური მიწის კურდღელი და მცირე მიწის კურდღელი). აქტიური არიან ღამით. კარგად აქვთ განვითარებული სმენა, მხედველობა და შეხება. მოძრაობენ დიდი ნახტომებით, იკვებებიან მცენარის ბოლქვით, გორგლით, ნაყოფით, თესლით, ზოგჯერ მწერებითაც. ზამთარში ეძლევიან ძილს. შობენ 1-8 ნაშიერს (ჩვეულებრივ 2-5-ს). მიწის კურდღლისებრნი უდაბნოს მრავალი მტაცებელი ცხოველის საკვებია.

ჭინჭრაქა

ყორანი (ლათ. Corvus corax) - ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. მისი სხეულის სიგრძე 65 სმ-ს აღწევს. ფერად - შავი, ლურჯი ან მწვანე, ლითონისებრი ბზინვარება დაკრავს. გავრცელებულია ევროპაში, აზიაში (გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა), ჩრდილოეთ აფრიკასა და ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში. საქართველოში ყველგან გვხვდება, მჭიდროდ დასახლებული ადგილების გარდა. ზამთარში მცირერიცხოვანი გუნდებით გადაადგილდება. ბუდეს იკეთებს ხეზე, კლდეზე, მდინარის ციცაბო ნაპირზე, მაღალ შენობაზე (ზოგჯერ იმავე ბუდეს თაობებიც იყენებენ). დებს 4–5 (7-მდე) კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 21 დღე-ღამეს. პოლიფაგია, მაგრამ ძირითადად მძორით იკვებება.

ჭინჭრაქა, ღობემძვრალა (ლათ. Troglodytes troglodytes) - ფრინველი ბეღურასნაირთა რიგისა. მისი სხეული სიგრძე 10-12 სმ-ს, მასა 8-11 გრ-ს აღწევს. გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში ჩვეულებრივი მობინადრე ფრინველია, ვერტიკალურად გვხვდება ზღვის დონიდან 2100 მ-მდე. ბინადრობს ხშირ ბუჩქნარებში, ხევებისა და ხეობების პირას, ტყეში. ბურთივით მრგვალ ბუდეს იკეთებს ხავსისა და სხვა მცენარეებისაგან, აპრილში დებს 4-7 კვერცხს. ინკუბაცია 2 კვირამდე გრძელდება. იკვებება ობობებითა და წვრილი უხერხემლოებით, კენკრითა და მცენარეთა თესლით.